სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლა

ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი: ნინო დოღონაძე

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

„მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში“

2018-2019

სარჩევი

შესავალი ..... გვ 4

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა..... გვ 6

თავი II - საკვლევი საკითხის მიმოხილვა..... გვ 14

2.1 - მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ..... გვ 14

2.2 - საკვლევი თემის აქტუალობა..... გვ 14

2.3 - პრობლემის ანალიზი..... გვ 15

2.4 - კვლევის მიზანი. .....გვ 16

თავი III. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდები და საკვლევი კითხვები.....გვ 17

3.1- თვისობრივი მეთოდები.....გვ 17

3.2- რაოდენობრივი მეთოდები.....გვ 18

3.3 - მთავარი შეკითხვა და საკვლევი კითხვები..... გვ 18

3.4 - კვლევის სამიზნე ჯგუფი.....გვ 19

3.5 - კვლევის განრიგი და ვადები..... გვ 20

თავი IV. კვლევის შედეგები..... გვ 22

4.1 - სტატისტიკური მონაცემები..... გვ 21

4.2 - მონაცემთა ანალიზი..... გვ 35

4.3 - ინტერვიუ დირექტორთან..... გვ 37

4.4 - ძირითადი მიგნებები..... გვ 38

თავი V. ინტერვენციები..... გვ 39

5.1 - ინტერვენციები და ინტერვენციების მიზნები.....გვ 39

5.2 - ინტერვენციების შეფასება და შედეგები..... გვ 47

თავი VI - რეკომენდაციები და კვლევის შედეგები..... გვ 49

6.1 - რეკომენდაციები..... გვ 49

6.2 - პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები.....გვ 50

თავი VII - დასკვნა.....გვ 52

7.1 - დასკვნა.....გვ 52

7.2 - კოლეგებისთვის გაზიარება..... გვ 53

ბიბლიოგრაფია.....გვ 54

დანართები..... გვ 55

რეფლექსია..... გვ 64

შესავალი

განათლება -ეს არის სისტემურ ქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. ეროვნული სასწავლო გეგმის კონცეფციიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირებულია პიროვნებაზე, მთავარი ადგილი უჭირავს მოსწავლეს, მის განვითარების პროცესს და მის მიერ მიღწეულ შედეგს. შედეგზე ორიენტირება კი გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. სწორედ ამიტომ, ეროვნული სასწავლო გეგმის ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლის აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

უცხოური ენა, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი, სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება. გარდა იმისა რომ უცხო ენის შესწავლით გვინდა მოსწავლეს განუვითაროთ სამეტყველო უნარები იმისათვის რომ მან შეძლოს წარმატებული კომუნიკაცია, ასევე მნიშვნელოვანია მაღალი სააზროვნო უნარების პროვოცირება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ცოდნის დაგროვებას, არამედ გაგება - გააზრებას და ცოდნის ადეკვატურ გამოყენებას. სწორედ ეს მოტივი გახდა მიზეზი იმისა რომ ჩამეტარებინა კვლევა ჩემი მოსწავლეების პრობლემურ მხარეზე. კვლევის ფოკუს ჯგუფი იყო IV კლასი. მიუხედავად იმისა რომ ამ ჯგუფის მოსწავლეები სხარტი აზროვნებით და გონიერებით გამოირჩევიან, მათ უცხო ენოვანი მასალის მოსმენა -გაგემის მიმართულებით ხარვეზები ჰქონდათ. საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირებით, ანალიზით და გადაჭრის გზების ძიებით ვიმედოვნებ, რომ მივიღებ საჭირო გამოცდილებას, გავაკეთებ შესაბამის დასკვნებს, რაც დაეხმარება ჩემს მოსწავლეებს სირთულის აღმოფხვრაში და ისინი უკეთეს შედეგებს მიიღებენ.

აღნიშნული კვლევა ეკუთვნის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის ინგლისური ენის უფროს მასწავლებელს - ნინო დოღონაძეს. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის თემაა - მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

თავი I - ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვას დავიწყებ **ეროვნული სასწავლო გეგმით.** http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi- ინგლისური ენის საგნობრივ სტანდარტში ნათლად ვკითხულობთ რომ დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლა-სწავლების პრიორიტეტული მიზნებია:

¬ მოსწავლის ენობრივი ცნობიერების განვითარება;

¬ ენობრივ-კულტურული გამოცდილების გამდიდრება;

¬ ენის სწავლის უნარ-ჩვევების განვითარება.

დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების მნიშვნელოვანი ამოცანაა თითოეული მოსწავლის მოტივაციის ამაღლება. მოზარდებმა უნდა შეიყვარონ უცხოური ენის სწავლის პროცესი, თვითონ უცხოური ენა და კულტურა. მეთოდიკა სწავლის პედაგოგიკას უნდა დაეფუძნოს, იგი ორიენტირებული უნდა იყოს თითოეული მოსწავლის განვითარების პროცესზე.

დაწყებით საფეხურზე უცხოური ენის სწავლება ოთხი მიმართულებით იშლება:

1. ზეპირი მეტყველება (მოსმენა და ლაპარაკი), 2. წერითი მეტყველება (კითხვა და წერა), 3. ინტერკულტურა 4. სწავლის სწავლა.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პრობლემა ეხება ზეპირი მეტყველების მიმართულების ერთერთ კომპონენტს - მოსმენას, რომელიც ლაპარაკთან ერთად მიეკუთვნება იმ სამეტყველო მიმართულებას, რომელიც მოსწავლეს უადვილებს საკომუნიკაციო მიზნების მიღწევას.

დაწყებით საფეხურზე, მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ არხს, პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას; უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად, რაც

წარმატებული ინტერაქციის საფუძველს წარმოადგენს. ფონემატური სმენის განვითარება შინაარსიან კონტექსტში ხდება. ტექსტებს უხვად უნდა ახლდეს თვალსაჩინო მასალა (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვ.) და კონკრეტულ კონტექსტებზე მიმანიშნებელი ბგერითი ინდიკატორები (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და სხვ.), რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეს უადვილდება ტექსტის გაგება.

ლიტერატურის მიმოხილვის დროს ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დაწყებისას დავინტერესდი თუ როგორ უნდა გამეკეთებინა კვლევის ანგარიში. ამისათვის გამოვიყენე **მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი II**, http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf სადაც ნათლად ვკითხულობთ თუ რა განსხვავებაა ტრადიციულ საგანამანათლებლო და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევებს შორის. ტრადიციულად საგანმანათლებლო კვლევების განმახორციელებლები არიან უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერები. ტრადიციული საგანმანათლებლო კვლევის მიზანი არის „განათლების ფენომენის ახსნა, განჭვრეტა და კონტროლი“ ამისათვის მკვლევარები ცდილობენ ცვლადებით (ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ კონკრეტული სწავლების შედეგებზე) მანიპულირებას და მათ კონტროლს, რათა შეამოწმონ ჰიპოთეზა (განცხადება, რომლითაც მკვლევარი წინასწარ განჭვრეტს, რა მოხდება ან განმარტავს, თუ რა იქნება კვლევის შედეგი). პრაქტიკის კვლევის ჩამტარებელი პირები განსხვავდებიან ტრადიციული მკვლევარებისაგან, რადგან ისინი უმეტესწილად არიან სკოლის მასწავლებლები და დირექტორები, რომლებიც თავად არიან საგანმანათლებლო კვლევის სუბიექტები. ამგვარად, ისინი მონაწილეობენ კვლევებში, რომლებიც გამომდინარეობს როგორც საკუთარი, ისე სკოლის საჭიროებებიდან და ერთდროულად მოქმედებენ, როგორც პედაგოგები და როგორც მკვლევრები. კვლევაში ჩართული პედაგოგები ცდილობენ საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, პოზიტიური ზეგავლენა მოახდინონ სწავლა-სწავლების პროცესებსა

თუ შედეგებზე და არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების სხვებისათვის გაზიარებით.

ლიტერატურის მიმოხილვის პროცესში მნიშვნელოვანი იყო განათლების სპეციალისტის **დევიდ პერკინსის თეორიული** მიდგომების გადახედვა (1994). http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16749 პერკინსი განიხილავს ინფორმაციის მიწოდების იმ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობს აზროვნების ამოქმედებას და, შესაბამისად, ეფექტურ სწავლასა და სწავლებას. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანი სწავლობს იმას, რისი სწავლის ლოგიკური შესაძლებლობაც და მოტივაციაც აქვს მას. „თეორია ერთის“ მიხედვით, რაიმეს კარგად შემეცნება მოითხოვს შემდეგი პირობების გათვალისწინებას:

1. ნათელი ინფორმაცია: მიზნების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
2. შემეცნებითი პრაქტიკა: აქტიური და სააზროვნო პროცესებით დატვირთული პრაქტიკა იმაში, რასაც მოსწავლე სწავლობს;
3. გამოხმაურება: რჩევები და შეფასება, რათა მოსწავლემ უკეთეს შედეგებს მიაღწიოს;
4. ძლიერი შინაგანი და გარეგანი მოტივაცია: დამაჯილდოვებელი აქტივობები ან დავალებები, რომლებიც თავისთავად საინტერესოა მოსწავლისათვის, ან ეხმარება მას სხვა მიზნების მიღწევაში;

პერკინსის თეორიაში მთავარი აქცენტი ეხება მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის ნათელი ინფორმაციისა და შესაბამისი უკუკავშირის მიწოდებას, აგრეთვე ისეთი გააზრებული პრაქტიკის შეთავაზებას მოსწავლისთის, რაც მას აღუძრავს როგორც შინაგან , ასევე გარეგან მოტივაცის. ნათელ ინფორმაციას პერკინსი შემდეგნაირად განმარტავს: ეს არის მკაფიო ცოდნა თუ „რა,“ „როგორ“ და ,,როდის” უნდა გაკეთდეს.

მასწავლებელი თვალყურს უნდა ადევნებდეს თუ, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა მიწოდებული ინფორმაცია. მათი შეცდომების ანალიზის საფუძველზე მასწავლებელმა უნდა შეეცადოს იპოვოს ის გზები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება, უკეთ გაიგონ მოცემული საკითხი.

„თეორია ერთის“ ამოქმედებას ხელს უწყობს სწავლების შემდეგი მეთოდები: დიდაქტიკური, სოკრატული, პრაქტიკული და სოციალური, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს აზროვნების აქტივაციაში.

პერკინსის აზრით, კარგად აზროვნება გულისხმობს საკუთარი აზროვნების პროცესების მართვას, რომელიც მოიცავს შემდეგის გააზრებას: რა შეკითხვები უნდა დაუსვა საკუთარ თავს, როგორ უნდა გამოიყენო პრობლემის გადაჭრის სტრატეგიები, როგორ უნდა მოახდინო საკუთარი აზროვნების მონიტორინგი (შემოწმება) და წარმართო იგი სწორი მიმართულებით და ა.შ. ეს ერთგვარად ჰგავს საკუთარი აზროვნების შესწავლას ანუ რეფლექსიას (თვით-განცდას, გაცნობიერებას), მეტაკოგნიციას.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას მნიშვნელოვანი წყარო იყო ამერიკელი განათლების ფსიქოლოგის **ბენჯამინ ბლუმის თეორია** (1913-1999)
http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=5043
ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი საგანმანათლებლო მიზნების ტაქსონომიის, განსაზღვრავს აზროვნების დონეებს.

მან შემოგვთავაზა კოგნიტური მიზნების იერარქია, რომელიც ექვსი ეტაპისაგან შედგება:

1. ცოდნა (ფაქტობრივი ინფორმაცია);

2. გაგება (გააზრება);

3. გამოყენება (მიღებული ინფორმაციის პრაქტიკაში გამოყენების უნარი);

4. ანალიზი (ინფორმაციის კომპონენტებად დაყოფა მოვლენის არსის წვდომის გასაადვილებლად);

5. სინთეზი (მოვლენის მთლიანობაში აღქმა);

6. შეფასება (ღირებულებითი მსჯელობები, შედარებითი შეფასებები).

გააქტიურების პროცესში, ყოველი მომდევნო დონე უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა დონეს. ბლუმის თეორის მიხედვით, ინფორმაციის ცოდნა, გაგება სწავლისთვის აუცილებელი, მაგრამ იგი არასაკმარისი პირობაა. იმისთვის რომ მიღებული ინფორმაცია ბავშვმა განაზოგადოს და შემდგომ გამოყენება შეძლოს, აუცილებელია მისი გაგება და ანალიზი, ხოლო ახალი პროდუქტის შესაქმნელად, ახალი ცოდნის მისაღებად კი საჭიროა სინთეზისა და შეფასების გონებრივი ოპერაციების წარმოება. ცოდნა, გაგება და გამოყენება მიიჩნევა აზროვნების ქვედა, სავალდებულო დონეებად, ხოლო ანალიზი, სინთეზი და შეფასება კი - ზედა, სასურველ დონეებად.

საკვლევი საკითხის პროლემიდან გამომდინარე, დავინტერესდი მოსმენის მიმართულებით ჩატარებული დისერტაციებითა თუ კვლევებით. ამისათვის ძირითადად გამოვიყენე - http://mastsavlebeli.ge/. ჩემთვის საინტერესო იყო **ელენე ძამიაშვილის (2014 წლის) სადისერტაციო ნაშრომის** გადახედვა. ის ეხებოდა თემას - მოსასმენი მასალის მიწოდებისა და განმტკიცების გზები და ხერხები ინგლისური ენის სწავლებისას I-IV კლასებში. ის იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ გაკვეთილის დაგეგმვისას ყურადღება უნგა გამახვილდეს მოსმენის სამ ეტაპზე. ესენია:

- მოსმენის წინა ეტაპი
- მოსმენის ეტაპი
- მოსმენის შემდგომი ეტაპი

საუბარია რომ მოსასმენი მასალის წინ, მნიშვნელოვანი პროცესია მოსწავლეებს გავაცნობიერებინოთ მოსასმენი მასალის ძირითადი თემა, ამისათვის კი არსებობს მრავალი ტიპის მოსმენის წინა აქტივობები მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს ისეთ დავალებები, სადაც მოსწავლეები გამოხატავენ საკუთარ აზრს შესასწავლ მასალასთან დაკავშირებით. „ მოსასმენი აქტივობების მიზანს წარმოადგენს ნათქვამის გაგება, ხოლო მოსმენის შემდგომი სავარჯიშოები კეთდება მასალის მოსმენის შემდგომ, ასეთი ტიპის სავარჯიშოები ემსახურება მოსმენის წინა და თვით მოსმენის ეტაპეპზე მიღბული ინფორმაციის შემდგომ

განვითარებას.“ ის გვირჩევს რომ როდესაც მასწავლებელს სურს ყურადღება მოსმენაზე გაამახვილოს უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი სამი ფაქტორი: 1. ისეთი მოსასმენი მასალის შერჩევა, რომელსაც წარმატებული, სათანადო და საინტერესეო შედეგი ჰქონდა ჩვენი ადრინდელი გამოცდილებიდან გამომდინარე. 2. სათანადო სავარჯიშოების შერჩევა, რომლებიც დაკავშირებულია მოსმენის უნარჩვევის განვითარებასთან; 3. ყოველი შერჩეული სავარჯიშოს ერთად თავმოყრა და თანმიმდევრულად შესრულება გაკვეთილზე. აუდიო მასალის შერჩევა ძალზედ მნიშვნელოვანია.

ამ საკითხთან დაკავშირებით ის იზიარებს მოსაზრებას რომ, სწავლების საწყის ეტაპზე მოსმენის პირველადი უნარები ყალიბდება ყოფითი სფეროს მასალაზე: საბავშვო ლექსები, სიმღერები, გათვლები, სცენები, ილუსტრირებული მიკროტექსტები, მარტივი აღწერითი და ნარატიული (თხრობითი) ტექსტები. დაწყებით ეტაპზე პოპულარულია თამაშებით სწავლება: ,,დაწყებით სკოლაში უცხოური ენის სწავლებისას სამართლიანადაა პოპულარული თამაშის გამოყენება. იგი ასევე შენიშნავს რომ მასწავლებლისა და ერთმანეთის მოსმენა მოსწავლეებს მთელი გაკვეთილის განმავლობაში სჭირდებათ, ეს კი 6-9 წლის ასაკის ბავშვებისათვის ძალიან რთულია, საჭიროა ისეთი საშუალებების გამოყენება, რომელიც, ერთი მხრივ, დაეხმარებათ ბავშვებს ყურადღების კონცენტრაციის შენარჩუნებაში (მაგ., თვალსაჩინოება), მეორე მხრივ კი, მათ დაძაბვის მოხსნის საშუალებას მისცემს (თამაში, ხუმრობა)“.

ინტერვენციებზე მუშაობის პროცესში გამოვიყენე **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მოწოდებული სატრენინგო მასალა** პროექტებითა და პროექტგაკვეთილებით სწავლების შესახებ, სადაც ნათლად წერია რომ ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება ერთობ მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად ინერგება პროექტის მეთოდით სწავლების პრაქტიკა. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები კვლევა-

ძიების გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას. კერძოდ ისინი მუშაობენ აუდიო/ვიდეო მასალაზე, მინი პრეზენტაციების მომზადება/წარდგენაზე და ა.შ. მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას კი მოსწავლეები იყენებენ პრაქტიკაში. მისივე მოსაზრებით, პროექტზე მუშაობა ხელს უწყობს მოსწავლეებს ინგლისური ენის უკეთ შესწავლაში, აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციის უნარის განვითარებაში. ასევე პრეზენტაცია, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ლაპარაკისა და მოსმენის უნარებს. ერთიანობაში კი პროექტ-გაკვეთილი ხელს უწყობს მოსწავლეებში კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობის და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას.

ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალზე **http://ncp.ge/ge/home** გავეცანი ნაშრომებს როლური თამაშის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი განხილულია როგორც ერთერთი მნიშვნელოვანი საშუალება ზეპირმეტყველებისა და მოსმენის უნარ-ჩვევების გასავითარებლად. მისი მიზანია როლური გათამაშებით მოსწავლეს გაუიოლდეს მოსმენილი ან წაკითხული მასალის გაგება/დასწავლა. ამ მეთოდით სწავლებისას ცხოვრებისეული სიტუაციების გათამაშებით, მოსწავლე ადვილად ახერხებს გრამატიკული სტრუქტურებისა და ლექსიკური ერთეულების დამახსოვრებას და გამოყენებას შესაბამის საკომუნიკაციო კონტექსტში. ეს მეთოდი ეხმარება მოსწავლეს საკუთარი ძალების რწმენაში.

მასწავლებელი წინასწარ უხსნის მოსწავლეებს თამაშის წესებს, ამუშავებს მათ საჭირო ენობრივ მასალასა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რათა როლური თამაშის დროს მხოლოდ გამოთქმებისა და წინადადებების აზრობრივ მხარეზე მოუწიოთ კონცენტრირება. მიუხედავად იმისა რომ როლური თამაშის დროს განსაზღვრულია პირობები და ენობრივი მასალაც შემოსაზღვრულია, მასში მაინც არის სპონტანური მეტყველება. მოსწავლე თავისუფლად გრძნობს თავს, უვითარდება ფანტაზია, ყურადღება, მეხსიერება, ერუდიცია. მოსწავლე ხდება უფრო აქტიური, სწავლობს თანატოლებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

როლური თამაშის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს რომ, სხვა პერსონაჟის „ ნიღაბს“ ამოფარებულ მორცხვ მოსწავლესაც კი_უადვილდება აზრის გამოთქმა.

ლიტერატურაზე მუშაობის პროცესში ჩემთვის მნიშვნელოვან მასალას გავეცანი **ნინო ფეტვიაშვილის სტატიაში (2015), თემაზე - „სიმღერა, როგორც სასწავლო რესურსი რუსული ენის გაკვეთილზე“,** სადაც სიმღერით სწავლებასთან დაკავშირებით ნათლად ვკითხულობთ რომ:

1.სიმღერა ავთენტური მასალაა, საიდანაც ჩანს ენის რეალური ფუნქციონირება, რაც ხელს უწყობს გრამატიკაზე და ლექსიკაზე მუშაობას.

2. სიმღერის მოსმენის პარალელურად შესაძლებელია სხვა სავარჯიშოების შესრულება. მაგალითად, საჭირო ინფორმაციის ამოცნობა ან ამოკრეფა და სხვ.

3.სიმღერის დამახსოვრება ადვილია. ის ეხმარება მოსწავლეს, ისწავლოს ახალი სიტყვები და ფრაზები, ნაწყვეტები ტექსტიდან.

4. სიმღერა არის გამეორების ბუნებრივი საშუალება. სიმღერებში მისამღერები გამეორებისა და ლექსიკის დამახსოვრების საშუალებას იძლევა.

თავი II - საკვლევი საკითხის მიმოხილვა

2.1 - მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

ჩემი სკოლა - ქვიტირის საჯარო სკოლა ეკუთვნის წყალტუბოს მუნიციპალიტეტს. ამჯამად სკოლაში 153 მოსწავლე ირიცხება, აქედან დაწყებით საფეხურზე - 76, საბაზოზე - 39 და საშუალოზე - 38, სკოლაში მუშაობს 27 მასწავლებელი: 2 წამყვანი, 9 უფროსი და 16 პრაქტიკოსი.

სკოლის მისია შემდგომში მდგომარეობს: ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე აღზარდოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის, ღია სამოქალაქო საზოგადოების კონკურენტუნარიანობის პრინციპებზე დაფუძნებული მოსწავლე - ახალგაზრდობა. სკოლის მისიის მიზანია ინოვაციური, თანამშრომლობითი, სამართლიანი კონკურენციის უზრუნველყოფით სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო ყველა პირობის შექმნით, განათლების სფეროში მოქმედი კანონების დაცვით, თანაბარი შესაძლებლობებით საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

2.2 - საკვლევი თემის აქტუალობა

ინგლისურ ენას, როგორც ცნობილია „მსოფლიო ენა“ უწოდეს, შესაბამისად დიდია მის მიმართ მოთხოვნილების ზრდა და შემსწავლელთა რიცხვიც ყოველწლიურად იცვლება.

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა.ინგლისური ენის გარეშე შეუძლებელია ამ სივრცეში ინტეგრირება და საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება. ინგლისური ენა აგრეთვე, როგორც ეროვნული სასწავლო გეგმის განუყოფელი ნაწილი. სასკოლო განათლების მთავარი სახელმწიფო მიზნის განხორციელებას ემსახურება და ჩვენ უნდა აღვზარდოთ ისეთი თაობა რომელიც

შეძლებს წარმატებულ კომუნიკაციას სხვა კულტურის წარმომადგენლებთან. ამიტომ ჩემს კვლევაში განხილული პრობლემა, რომელიც ზეპირმეტყველების ერთერთ კომპონენტს - მოსმენის უნარს ეხება, ხელისშემშლელი პრობლემაა ეფექტური კომუნიკაციისთვის. პრობლემის იდენტიფიცირებით, ანალიზით და სათანადო ინტერვენციების დაგეგმვით, დარწმუნებული ვარ მოსწავლეებს გავუუმჯობესებ მოსმენის უნარს, რაც თავის მხრივ, წარმატებული კომუნიკაციის აუცილებელი პირობაა.

2.3 - პრობლემის ანალიზი

მიუხედავად იმისა რომ ჩემს მოსწავლეებს ძალიან უყვართ ინგლისური ენა და ხალისით ერთვებიან სხვადასხვა აქტივობებში, მოსასმენი დავალებების შესრულებისას, შევნიშნე რომ პრობლემები გამოიკვეთა ინგლისურენოვანი მასალის გაგებაში, ვგულისხმობ შედარებით დაბალ შედეგებს, ნაკლებ მოტივაციას და ჩართულობას. ხშირ შემთხვევებში მოსწავლეები შეცდომების დაშვების შიშით თავს იკავებენ პასუხების დაფიქსირებისგან, არა აქვთ საკუთარი თავის რწმენა. მოსმენა კი ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია უცხო ენის სწავლების პროცესში, ვინაიდან იგი მხოლოდ მოსმენის აქტივობებს არ მოიცავს,არამედ მოსწავლე სწავლობს სიტყვის სწორად გამოთქმას, ყურს აჩვევს უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხთა საუბარს, რომელიც თავისთავად ხელს შეუწყობს საუბრის უნარის გაუმჯობესებაში.

გამოკვეთილი პრობლემა განვიხილეთ უცხო ენათა კათედრაზე, მოვისმინე ჩემი კოლეგების აზრი ამ თემასთან დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა მოსმენის უნარის ნაკლებობა, საერთო პრობლემური მხარე იყო მოსწავლეთა უმრავლესობისათვის. ვიფიქრეთ და ვიმსჯელეთ ამ პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე. გავუზიარეთ ერთმანეთს მოსაზრებები და შესაძლო მიზეზებად გამოვკვეთეთ შემდეგი ფაქტორები:

- მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა აქცენტი
- საუბრის ჩქარი ტემპი

- მოსმენის ნაკლები გამოცდილება
- არასაკმარისი მოსასმენი მასალა სახელმძღვანელოში
- ინგლისურენოვანი მასალის მოსმენის ნაკლებობა არასაგაკვეთილო დროს

მოცემული პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველზე, დავგეგმე სათანადო ინტერვენციები, რომელთა ეფექტური განხორციელებაც, ვფიქრობ მოსწავლეებს გაუუმჯობესებს მოსმენის უნარებს,გაზრდის მათ ჩართულობას და მოტივაციას.

2.4 კვლევის მიზანი

- მოსმენის მიმართულებაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორების დადგენა.
- მოსწავლეთა პასიურობასთან და შედარებით დაბალ შედეგებთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა/შესწავლა.
- ეფექტური ინტერვენციების შემუშავება და პრაქტიკაში განხორციელება.
- მოსწავლეთა მოტივაციისა და გამოცდილების გაზრდა მოსმენის მიმართულებით.

ჩემი კვლევის მიზანია იმ პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა, რაც იწვევს მოსწავლეთა დაბალ შედეგებს და პასიურობას ინგლისურენოვანი მოსასმენი მასალის დავალებების შესრულებისას. ვაპირებ გამოვიყენო ინტერვენციები, საინტერესოდ დაგეგმილი აქტივობებით, რაც სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე ყველა მოსწავლეს აუმაღლებს მოტივაციას აქტიურად და გაბედულად ჩაერთონ სასწავლო პროცესში, აიმაღლონ მოსმენის უნარები და გაიუმჯობესონ შედეგები

თავი III. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის მეთოდები და საკვლევი კითხვები

3.1- თვისობრივი მეთოდები

კვლევის წარმატებისა და შედეგების ადეკვატურობას განსაზღვრავს ის, თუ რა მეთოდები იქნა გამოყენებული კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად.

თვისობრივი მეთოდებიდან გამოვიყენე - დაკვირვება, ფოკუს ჯგუფი და ინტერვიუ.

გზამკვლევის მეორე ნაწილში ნათლად ვკითხულობთ, რომ დაკვირვება ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და გავრცელებული მეოდია პედაგოგიური პრაქტიკის შესასწავლად.ამ ცნების ქვეშ იგულისხმება საკვლევი ობიექტის, პროცესის ან მოვლენის ორგანიზებული აღქმა ბუნებრივ პირობებში.

დაკვირვების სამ ეტაპს გამოყოფენ: აღწერითს, ფოკუსირებულსა და შერჩევითს.

აღწერით დაკვირვებას მიმართავს მკვლევარი კვლევის საწყის ეტაპზე. დაკვირვების ეს ეტაპი ზედაპირულობით ხასიათდება და მისი ძირითადი მიზანია დაგვეხმაროს იმის დადგენაში თუ რაზე უნდა გავაკეთოთ ფოკუსირება.

ფოკუსირებული დაკვირვება დაკვირვების მეორე ეტაპია, როდესაც მკვლევარი მკაფიოდ გამოკვთს კვლევის კონკრეტულ ელემენტებს. ამ უნარებზე დაკვირვებაა მისი კვლევის ინტერესი.

შერჩევითი დაკვირვების დროს მკვლევარის ინტერესები გარკვეულწილად ვიწროვდება და მოითხოვს დამკვირვებლის ყურადღების სფეროს კიდევ უფრო დაკვირვებას და შეზღუდვას.

ინტერვიუ დიალოგის თანამედროვე ფორმაა, რომელიც პედაგოგიკაში სოციოლოგიიდან შემოვიდა. ეს მეთოდი გამოირჩევა თავისი მიზანმიმართულობით, ჩანს პიროვნების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი.

ინტერვიუ გამოვიყენე დირექტორთან და მოსწავლეებთან ინტერვენციების შემდგომ პერიოდში,იხილეთ დანართი 4 და 5.

3.2- რაოდენობრივი მეთოდები

ამის გარდა გამოვიყენე ანკეტირება,ღია და დახურული კითხვებით: მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან. ანკეტირება იძლევა მასიური გამოკითხვის საშუალებას,იხილეთ დანართი 1, 2, 3.

ანკეტირება არის ინტერვიუს სტრუქტურირებული (ფორმალიზებული) სახე. განსხვავება ანკეტირებასა და ინტერვიუს შორის არის ის, რომ ანკეტირებისას ინტერვიუერს რესპონდენტის პასუხებზე უშუალო რეაგირების საშუალოება არა აქვს, მას არ შეუძლია არც დამაზუსტებელი კითხვების დასმა.

3.3 - მთავარი შეკითხვა და საკვლევი კითხვები

კვლევის მთავარი კითხვაა - რა არის მოსწავლეთათვის მოსმენის უნარის სირთულის გამომწვევი მიზეზები ინგლისურ ენაში?

კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვაყალიბე შემდეგი ქვეკითხვები:

- რატომ არიან მოსწავლეები შედარებით ნაკლებად ჩართული მოსასმენი დავალებების შესრულებაში?
- ეხმარებათ თუ არა მოსწავლეებს სახელმძღვანელოში არსებული მოსმენის სავარჯიშოები მოსმენის უნარის დაუფლებაში?
- რა უშლით მოსწავლეებს ხელს მოსმენილი მასალის კარგად გაგებაში?
- საჭიროა თუ არა მოსმენის დავალებების რაოდენობის ზრდა, გამრავალფეროვნება?
- რა დამატებითი ღონისძიებების გატარება შეიძლება იმისათვის რომ მოსწავლეებს მოსმენის უნარი გავუუმჯობესოთ?

3.4 - კვლევის სამიზნე ჯგუფი

კვლევის პროცესში შევქმენი კითხვარი ფოკუს ჯგუფისვთის - მოსწავლეთათვის, მშობელთათვის, პედაგოგთათვის და მოვამზადე ინტერვიუ დირექტორისთვის.

მოსწავლის- როგორც დღევანდელი განათლების მთავარი ორიენტირის აზრი ძალიან მნიშვნელოვანი იყო კვლევის პროცესში. გავეცანი მათ დამოკიდებულებებს მოსასმენი დავალებების მიმართ, მათ მოსაზრებებს მოსმენის სირთულის გამომწვევ მიზეზებზე და მათი, როგორც მოსწავლის მხრიდან დანახულ რეკომენდაციებს, უკეთესი შედეგის მისაღებად.

მშობლების აზრი საინტერესო ოყო, რადგანაც მათ დიდი ადგილი უჭირავთ შვილის წარმატებისა და მოტივაციის ზრდაში. მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად, მიზანშეწონილად ჩავთვალე მშობელთა მოსაზრებების მოსმენა და გათვალისწინება. მათი, როგორც მშობლის აზრი, გამოკვეთილი პრობლემის მიმართ, მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო ჩემთვის, მომავალი აქტივობების დაგეგმვის პროცესში.

რაც შეეხება პედაგოგებს, მინდოდა მათი გამოცდილების გაზიარება, გამეგო ხომ არ ჰქონდათ მათ მოსწავლეებს მსგავსი პრობლემები მოსასმენი მასალის გაგების მხრივ. რომელ აქტივობებს და მეთოდებს მირჩევდნენ ამ პრობლემის მინიმუმამდე დასაყვანად.

და ბოლოს, ინტერვიუ დირექტორთან ძალიან მნიშვნელოვანი იყო,პირველ რიგში იმისათვის რომ მიმეღო ადმინისტრაციის ხელშეწყობა კვლევის პროცედურებთან დაკავშირებით, გარდა ამისა გამეგო ხელმძღვანელი პირის ხედვა ჩემი საკვლევი თემის მიმართ და გამეთვალისწინებინა მისი რჩევები.

3.5 -კვლევის განრიგი და ვადები

აქტივობა	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	✓					
კვლევის სტრუქტურის გაცნობა	✓					
საკვლევი თემის მიმოხილვა	✓	✓				
ლიტერატურის მიმოხილვა	✓	✓	✓			
კითხვარების შედგენა		✓				
ანკეტირება მოსწავლეებთან		✓				
ანკეტირება მშობლებთან			✓			

ანკეტირება მასწავლებლებთან			✓			
ინტერვიუ დირექტორთან				✓		
მონაცემთა ანალიზი და სტატისტიკური მონაცემების დამუშავება					✓	✓
ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება			✓	✓	✓	
ინტერვენციების ანალიზი				✓	✓	✓
შედეგების ანალიზი						✓
პრეზენტაცია სკოლის პედაგოგებთან						✓

თავი IV- კვლევის შედეგები

4.1 - სტატისტიკური მონაცემები

კითხვარი მოსწავლეთათვის

1. **ინგლისური ენის გაკვეთილზე როგორი ტიპის აქტივობების კეთება უფრო გიყვართ?**
   ა) წერა-კითხვასთან დაკავშირებული .....4 მოსწავლე
   ბ) აუდიო-ვიდეო მასალის მოსმენა - ყურება .....2 მოსწავლე
   გ) ლაპარაკი, დისკუსია ..... 8 მოსწავლე



2. **გებულობთ თუ არა ინგლისურ ენაზე მოსმენილ მასალას?**
   ა) მთლიანად .....2 მოსწავლე
   ბ) ნაწილობრივ .....9 მოსწავლე
   გ) ვერ ვგებულობ .....3 მოსწავლე



1

3. რა გიშლით ხელს მოსმენილი მასალის გაგებაში?

ა) საუბრის ჩქარი ტემპი .....10 მოსწავლე

ბ) მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა აქცენტი .....4 მოსწავლე

გ) მოსმენის ნაკლები გამოცდილება,,,,,,,0 მოსწავლე



4. **რა გეხმარებათ მოსმენილი მასალის გაგებაში?**

ა) შინაარსი (კონტექსტი) .....2 მოსწავლე

ბ) ილუსტრაცია .....1 მოსწავლე

გ) ნაცნობ თემასთან კავშირი 11მოსწავლე



5. **რამდენი მოსმენაა საჭირო ერთი აქტივობის კარგად შესასრულებლად?**

ა) ერთი .....0 მოსწავლე

ბ) ორი .....8 მოსწავლე

გ) სამი .....6 მოსწავლე



6. **როგორია თქვენი განწყობა მოსასმენი დავალებების წინ?**

ა) დადებითი .....13 მოსწავლე

ბ) უარყოფითი .....0 მოსწავლე

გ) გულგრილი .....1 მოსწავლე



7. **უყურებთ თუ არა ინგლისურ ანიმაციებს არასაკლასო დროს (მაგ სახლში)?**

ა) დიახ .....6 მოსწავლე

ბ) არა .....0 მოსწავლე

გ) ზოგჯერ .....8 მოსწავლე



8. **სასურველია თუ არა საგაკვეთილო პროცესში მოსასმენი დავალებების რაოდენობის ზრდა?**

ა) სასურველია ზრდა .....11 მოსწავლე

ბ) საკმარისია .....3 მოსწავლე

გ) საჭიროებს შემცირებას .....0 მოსწავლე



კითხვარი მშობლებთათვის

1. **რომელია თქვენი შვილის საყვარელი საგანი?**
   ა) მათემატიკა .....6 მშობელი
   ბ) ქართული ..... 1 მშობელი
   გ) ინგლისური .....5 მშობელი



2. **როგორ მეცადინეობს თქვენი შვილი ინგლისურ ენას?**

ა) დამოუკიდებლად .....7 მშობელი
ბ) ნაწილობრივ დამოუკიდებლად .....3 მშობელი
გ) თქვენი ან სხვა პიროვნების დახმარებით ..... 2 მშობელი



3. **რა დროს უთმობს თქვენი შვილი ინგლისურის მეცადინეობას?**
ა) ერთ საათს ..... 4 მშობელი
ბ) ერთ საათზე მეტს ..... 0 მშობელი
გ) ერთ საათზე ნაკლებს ..... 8 მშობელი



4. **გაქვთ თუ არა ინფორმაცია როგორი ტიპის აქტივობების კეთება უყვართ თქვენს შვილს უფრო მეტად ინგლისური ენის გაკვეთილზე?**

ა) წერა-კითხვასთან დაკავშირებული .....5 მშობელი

ბ) აუდიო - ვიდეო მასალის მოსმენა - ყურება .....3 მშობელი

გ) ლაპარაკი, დისკუსია ..... 4 მშობელი



5. **გაქვთ თუ არა ინფორმაცია რომელ კომპეტენციაში აქვთ სირთულე თქვენს შვილს?**

ა) წერა-კითხვა .....2 მშობელი

ბ) მოსმენა - ყურება ..... 7 მშობელი
გ) ლაპარაკი .....3 მშობელი



6. უყურებს თუ არა თქვენი შვილი ინგლისურენოვან ანიმაციურ ფილმებს სახლში?

ა) ხშირად .....5 მშობელი
ბ) იშვიათად..... 7 მშობელი
გ) არასოდეს .....0 მშობელი



7. **ცდილობს თუ არა თქვენი შვილი ინგლისურენოვანი სიმღერების ტექსტის გამეორებას?**

ა) ხშირად ..... 4 მშობელი

ბ) იშვიათად..... 7 მშობელი

გ) არასოდეს 1მშობელი



8. **თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი შვილისთვის მოსასმენი მასალის გაგება?**

ა) ძალიან მნიშვნელოვანია .....9 მშობელი

ბ) ნაკლებად მნიშვნელოვანია .....0 მშობელი

გ) სასურველია გებულობდეს .....1 მშობელი



კითხვარი პედაგოგთათვის

1. **რომელია თქვენი მოსწავლეების საყვარელი აქტივობები ინგლისური ენის გაკვეთილზე?**
   ა) წერა-კითხვასთან დაკავშირებული ..... 2 პედაგოგი
   ბ) აუდიო - ვიდეო მასალის მოსმენა - ყურება .....2 პედაგოგი
   გ) ლაპარაკი, დისკუსია .....1 პედაგოგი



2. **რომელ მიმართულებაში აქვთ თქვენს მოსწავლეებს შედარებით დაბალი შედეგები?**

   ა) წერა-კითხვა .....0 პედაგოგი

   ბ) მოსმენა - ყურება .....4 პედაგოგი

   გ) ლაპარაკი ..... 1 პედაგოგი



3. **თქვენი აზრით, რატომ უჭირთ ზოგადად მოსწავლეებს მოსმენილი მასალის გაგება?**

ა) საუბრის ჩქარი ტემპის გამო ..... პედაგოგი
ბ) მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა აქცენტის გამო .....2 პედაგოგი
გ) მოსმენის ნაკლები გამოცდილებიდან გამომდინარე .....1 პედაგოგი



4. რამდენად გეხმარებათ სახელმძღვანელოში არსებული მოსასმენი დავალებები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში?

ა) ძალიან მეხმარება .....0 პედაგოგი
ბ) ნაწილობრივ მეხმარება..... 2 პედაგოგი
გ) საჭიროებს დამატებით მოსასმენ დავალებებს .....3 პედაგოგი



4.2 - მონაცემთა ანალიზი

მონაცემების დათვლისა და გაანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა შემდეგი შედეგები:

მოსწავლეთათვის დასმულ შეკითხვას თუ რაში დაეხმარებათ მათ მოსასმენი დავალებების კარგად გაგება, უმეტესობამ გასცა შემდეგი პასუხი: მათი აზრით, ისინი უკეთესად გაიგებენ ინგლისურ ენოვან ანიმაციებს, ფილმებს და ა.შ. გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს. გარკვეულ ნაწილს კი მიაჩნია რომ მოსასმენ დავალებებზე ყურის მიჩვევა გაუიოლებთ ინგლისურენოვანი საუბრის გაგებას რეალურ ცხოვრებაში,მაგ: მოგზაურობის დროს, ტურისტებთან საუბრისას და რომ თავადაც უკეთ შეძლებენ საუბრის წარმართვას ინგლისურ ენაზე.

კითხვაზე - თუ რა განაპირობებს პირადად მათთვის უკეთესი შედეგის მიღებას მოსმენის მიმართულებაში, უმრავლესობამ ხაზი გაუსვა ანიმაციების, ფილმებისა და სიმღერების მოსმენა - ყურებას არასაგაკვეთილო დროს, ხოლო გაკვეთილზე მათ მიაჩნიათ რომ უნდა გაიზარდოს მოსასმენი დავალებების რაოდენობა და სიხშირე.

კითხვაზე - თუ რაში გამოიყენებენ მოსწავლეები მოსმენის მიმართულების კარგ ფლობას რეალურ ცხოვრებაში, მათი მშობლების უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ ეს მათ დაეხმარებათ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ინგლისური საუბრის უკეთ გაგებაში, უცხოელებთან კონტაქტში, თავისუფალ კომუნიკაციაში, ფილმებისა და ნებისმიერი ინგლისურ ენოვანი ინფორმაციის გაგებაში, აგრეთვე ზოგიერთ მათგანს მიანია, რომ ეს გაუიოლებს მათ შვილებს დასაქმების პროცესს და უბრალოდ წარმატების ერთერთ პირობად მიაჩნიათ ნებისმიერ პროფესიაში.

რაც შეეხება, მშობელთა რეკომენდაციებს მოსმენილი მასალის უკეთ გაგებაში, უმეტესობა მათგანმა მირჩია, რომ გავზარდო მასასმენი დავალებების რაოდენობის სიხშირე, მოვასმენინო სახალისო, ასაკისა და დონის შესაბამისი მრავალფეროვანი მასალები, სათანადო დავალებებით. აგრეთვე მათი აზრით, უნდა გაიზარდოს არასაგაკვეთილო დროს ინგლისურენოვანი ანიმაციებისა და ფილმების ყურება.

მასწავლებელთა უმრავლესობამ კარგად იცის, თუ როგორია თანამედროვე გამოწვევები, ისინი თავად იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებს და მეთოდებს ამა თუ იმ მიზნიდან გამომდინარე. მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით კი მათ მიერ რეკომენდირებული აქტივობები შემდეგია: ხშირად გამოვიყენო აუდიო-ვიდეო რესურსები, რომლებიც ახლავს სახელმძღვანელოს. სისტემატიური სახის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეებს არ გაუჭირდებათ მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა ინტონაციის აღქმა და გაგება. მათი რჩევით, აგრეთვე უნდა გაიზარდოს დამატებითი, დონის შესაბამისი ანიმაციების, სიმღერების და ა.შ ჩვენება თავისი მოსმენამდე, მოსმენის დროს და მოსმენის შემდგომი აქტივობებით.

რაც შეეხება მოსმენის დავალებებისთვის საჭირო დროისა და სიხშირის ზრდას, მასწავლებელთა უმრავლსობას მიაჩნია, რომ ეს დამოკიდებულია ასაკობრივ ჯგუფზე და პრობლემის მასიურობაზე, დაბალ კლასებში სასურველად მიიჩნიეს უფრო მეტად მოსმენა ვიდრე ერთი ან ორი მოსმენაა, ზედა საფეხურებზე კი მოსწავლეები ყურს მიაჩვევენ ინგლისურ ენაზე მოსაუბრეთა აქცენტსა და სიჩქარეს და განუვითარდებათ უკეთესი მოსმენის უნარი.

საგაკვეთილო აქტივობების გარდა, მასწავლებელთა უმრავლეობამ მირჩია, რომ მოსწავლეები დავაკავოთ ინტერნეტ-საგანმანათლებლო რესურსების გამოყენებით, როგორიცაა სიმღერები, ანიმაციები,რომ გაუზიარონ თანატოლებს მოსმენილი ინფორმაცია, რათა ინდიფერენტული მოსწავლეებისთვისაც გახდეს მსაგავსი საქმიანობა საინტერესო და მნიშვნელოვანი.

4.3 - ინტერვიუ დირექტორთან

დირექტორთან ინტერვიუ ძალიან დამეხმარა ჩემი კვლევის პრობლემური საკითხების გაანალიზებასა და ალტერნატიული გადაჭრის გზების მიგნებაში. ის როგორც არაჩვეულებრივი პროფესიონალი, კარგი ხელმძღვანელი და მენეჯერი, თანამშრომლობს ყველა პედაგოგთან, ხელს გვიწყობს პროფესიულ წინსვლაში,მასთან ინტერვიუ კიდევ ერთი მისი კომპეტენტურობის დასტური იყო თანამედროვე სწავლა-სწავლების გამოწვევებთან მიმართებაში. მასთან დასმული მქონდა შეკითხვა, ესწრებოდა თუ არა სკოლაში ჩატარებულ საგაკვეთილო პროცესებს, აძლევდა თუ არა მასწავლებლებს განმავითარებელ შეფასებებს და რამდენად კრიტიკული მეგობარი იყო კოლეგებისთვის.

დირექტორის აზრით თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი უამრავი სიახლითა და გამოწვევებით არის დატვირთული. აქედან გამომდინარე ის ყოველთვის დაინტერესებულია თუ როგორ ახერხებენ მისი სკოლის მასწავლებლები ფეხი აუწყონ ახალ ცვლილებებს და იყვნენ მოტივირებულნი სიახლეების დასანერგად, შესაბამისად, დირექტორის თქმით, ის ხშირად ესწრება საგაკვეთილო პროცესებს, თვალყურს ადევნებს თითოეული აქტივობისა და მეთოდის განხორციელებას და აძლევს პედაგოგებს განმავითარებელ შეფასებას, ესაუბრება მათ ძლიერ და წარმატებულ ნაწილებზე და ასევე შედარებით სუსტ მხარეებზეც, რაც მხოლოდ და მხოლოდ შემდეგი უკეთესი გაკვეთილის ჩატარებაზე და სწავლა - სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

რაც შეეხება კრიტიკულ მეგობრობას, ეს არის სწორედ ის დამოკიდებულება, რასაც დირექტორი გამოხატავს კოლეგების მიმართ. კრიტიკული მიდგობა მისი აზრით, ადამიანს უბიძგებს გაიაქტიუროს თვითშეფასების უნარი და დაინახოს საკუთარი პოზიცია მაღალ აკადემიურ სტანდარტებთან მიმართებაში, და რეკომენდაციები,რომლებსაც ის მასწავლებლებს აძლევს, სწორედ რომ მეგობრულ ჩარჩოშია მოქცეული და მათივე პროფესიონალიზმის ზრდისკენ არის მიმართული.

კითხვაზე თანამშრომლობენ თუ არა მათი პედაგოგები ერთმანეთთან, დირექტორმა განაცხადა რომ მისი ურთიერთობებითა და დამოკიდებულებებით, ის პირველი ცდილობს კოლეგიალობის მაგალითის მიცემას და ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მათ განუვითარდებათ ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილებათა გაცვლა- გამოცვლის სურვილი. ის თვლის რომ მისი სკოლის გუნდი საკმაოდ მეგობრულია და წვლილი შეაქვთ ერთმანეთს წარმატებაში.

მოსმენის კომპეტენციაში პრობლემის არსებობა დირექტორს, ხშირ და მასიურ შემთხვევად მიაჩნია. მისი აზრით მოსწავლეებს სჭირდებათ მეტი ინგლისურენოვანი გამოცდილება, საგაკვეთილო და არასაგაკვეთლი პროცესში, სწორად დაგეგმილი და შერჩეული აქტივობებითა და მეთოდებით ჩატარებული გაკვეთლები. ყოველივე ამის უზრუნველყოფით, აუცილებლად მიიღება უკეთესი შედეგი. პრობლემურ საკითხზე ჩატარებული კვლევა და განხორციელებული ინტერვენციები სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯებია ამ მიმართულებით.

4.4 - ძირითადი მიგნებები

მონაცემთა ანალიზის შედეგად და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების შემდეგ, მიგნებულ იქნა პრობლემა, თუ რა არის მოსწავლეებში მოსმენის მიმართულების სირთულის გამომწვევი მიზეზები. გამოიკვეთა, რომ ინგლისური ენის გაკვეთილზე, მოსწავლეები შედარებით ნაკლებად მოტივირებული და ჩართული არიან მოსმენის აქტივობებში და შეცდომების დაშვების შიშით, თავს იკავებენ აქტიურობისგან. სირთულე, ზოგიერთისთვის საუბრის ჩქარი ტემპი აღმოჩნდა,

ზოგიერთისთვის კი, მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა აქცენტი, ან მოსმენის ნაკლები გამოცდილება. მათი აზრით სასურველია მოსმენის რაოდენობისა და სიხშირის ზრდა, როგორც საგაკვეთილო, ასევე არასაგაკვეთილო პროცესში.

თავი V - ინტერვენციები

5. 1 ინტერვენციები და ინტერვენციების მიზნები

ინტერვენცია1. სიმღერით სწავლება

ინგლისური ენის გაკვეთილზე სიმღერის გამოყენების იდეა ახალი არ არის, თუმცა სიმღერის საგანმანათლებლო პოტენციალი ბევრად უფრო ღრმა,მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია. სიმღერები და ვიდეოკლიპები ავთენტური მასალაა და კარგად შეიძლება გამოვიყენოთ ფონეტიკური და ლექსიკური მასალის დამუშავებისთვის, მოსმენისა და ლაპარაკის უნარების გასავითარებლად.

სიმღერით სწავლება ძალიან ეფექტურად ითვლება თანამედროვე მეთოდიკაში , რადგანაც სიმღერა ადამიანების ცხოვრების ნაწილია და ამიტომ საგაკვეთილო პროცესში მისი გამოყენება საკმაოდ ბუნებრივია.

სიმღერით სწავლების თეორიულ განმარტებაში ვკითხულობთ რომ სიმღერით სწავლების ლინგვისტური საფუძვლები განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

1.სიმღერა ავთენტური მასალაა, საიდანაც ჩანს ენის რეალური ფუნქციონირება, რაც ხელს უწყობს გრამატიკაზე და ლექსიკაზე მუშაობას.

2. სიმღერის მოსმენის პარალელურად შესაძლებელია სხვა სავარჯიშოების შესრულება. მაგალითად, საჭირო ინფორმაციის ამოცნობა ან ამოკრეფა და სხვ.

3.სიმღერის დამახსოვრება ადვილია. ის ეხმარება მოსწავლეს, ისწავლოს ახალი სიტყვები და ფრაზები, ნაწყვეტები ტექსტიდან.

4. სიმღერა არის გამეორების ბუნებრივი საშუალება. სიმღერებში მისამღერები გამეორებისა და ლექსიკის დამახსოვრების საშუალებას იძლევა.

ჩემს მიერ შერჩეული სიმღერა იყო თემაზე - The Lunch Song - საკვები პროდუქტები,რასაც მოსწავლეები მიირთმევენ ლანჩის დროს. https://www.youtube.com/watch?v=vo8HZ6cMsO4

სიმღერით სწავლების მეთოდის გამოყენების მიზანი იყო ამ სახალისო გზით, რომელიც თავისთავად და ბუნებრივად იძლევა ლექსიკურ ერთეულებზე ყურის მიჩვევის. გაგებისა და დამახსოვრების საშუალებას, სათანადო აქტივობების ხელშეწყობით გამეზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, ჩართულობა და აქტიური სმენის სურვილი, რომ დეტალურად გაეგოთ მოსმენილი სიმღერის შინაარსი და კარგი შედეგები მიეღოთ.

სიმღერის ირგვლივ აქტივობები. წესისამებრ, სამ ეტაპად დავყავი: მოსმენამდე, მოსმენის ეტაპზე და მოსმენის შემდგომ.

მოსმენამდე დავალებების მიზანი იყო, მოსწავლეებისთვის გამეღვივებინა ინტერესი თემისადმი და გამეაქტიურებინა მათი ლექსიკა, სათაურის გამოცხადების შემდეგ მათ დავუსვი შეკითხვა, თუ რაზე იქნებოდა მოსასმენი სიმღერა, აგრეთვე გონებრივი იერიშის მეთოდით, ჩამოვწერეთ, ის შესაძლო ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ტექსტში შეგვხვდებოდა.

თავად სიმღერის მოსმენის დროს, მოსწავლეებმა, პირველი მოსმენისას დაასახელეს მთავარი თემა და შეადარეს თუ რამდენად დაემთხვა მათი ვარაუდები რეალურ ლექსიკურ ერთეულებს სიმღერაში. განმეორებით მოსმენა კი , როგორც წესი, უფრო დეტალური ინფორმაციის გაგებას ეხება, მათ შეასრულეს დავალება, გამოტოვებული ლექსიკური ერთეულების შევსებაზე.

მესამე ეტაპზე კი, ვიმღერეთ სიმღერა ერთობლივად, შესაბამისი ინტონაციბის დაცვითა და მიბაძვით. წინა აქტივობებში ლექსიკური ერთეულების გამეორებამ, გაუიოლა მოსწავლეებს სიმღერის ტექსტის დამახსოვრება და მათ თავისუფლად შეძლეს აჰყოლოდნენ სიმღერას.

შესაბამისად, შედეგად მივიღეთ ის ,რომ მოსწავლეები მართლაც ხალისითა და ინტერესით ჩაერთვნენ მოსმენის ირგვლივ დავალებების შესრულებაში, გაიმტკიცეს ლექსიკური ერთეულების ცოდნა და უკეთესი შედეგებიც მიიღეს.

ინტერვენცია 2. ანიმაციით სწავლება

ანიმაციით სწავლება ძალიან ეფექტური და ნაყოფიერი მეთოდია პედაგოგიკაში. განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე ინგლისური ენის შესწავლის პროცესში, რადგანაც ის ყველა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს აღუძრავს მოსმენისა და გაგების სურვილს, ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, აუდიო და ვიზუალური შეხება კი შესასწავლ მასალასთან, საშუალებას აძლევს სხვადასხვა ტიპის შემსწავლელებს, ერთნაირად კარგი შედეგი მიიღონ.

ანიმაცია, რომელიც გაკვეთილზე ინტერვენციისთვის გამოვიყენე, ეხებოდა ყველასათვის ცნობილ და საყვარელ ზღაპარს წითელქუდას (Little Red Riding Hood) https://www.youtube.com/watch?v=aEGH88b3yCQ. ჩემი აზრით. კარგად ნაცნობი სიუჟეტი მათ მოუსხნიდა შიშისა და დაძაბულობის განცდას და მეტი თავდაჯერებით შეასრულებდნენ დავალებებს ანიმაციის ირგვლივ.

ამ მეთოდის გამოყენების მიზანი, ჩემს მოსწავლეებთან იყო, გამეზარდა მათი დაინტერესება და სურვილი, დეტალურად მოესმინათ და გაეგოთ ინგლისურენოვანი სიუჟეტი და დაგეგმილი აქტივობებით დავხმარებოდი მაქსიმალური შედეგის მიღებაში.

მოტივაციის ასამაღლებლად ანიმაციის ყურებამდე, მოსწავლეებს ვაჩვენე სლაიდები ფოტო მასალით, ისინი შეეცადნენ გამოეცნოთ, თუ რა სიტყვები და რომელი პერსონაჟები შეხვდებოდათ მოსმენის დროს.

ანიმაციის მსვლელობისას, მოსწავლეებს მივეცი დავალება, სადაც ინიშნავდნენ მართალ და მცდარ წინადადებებს მოსმენილი ტექსტის მიხედვით. ამის შემდგომ,

განმეორებითი მოსმენით შევამოწმეთ თუ რამდენად შეძლეს მათ ტექსტის გაგება. შეცდომების არსებობის შემთხვევაში, ვაჩერებდით და ვამეორებინებდით სათანადო ადგილს და ვაკეთებდით შესწორებებს.

ანიმაციის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს დავურიგე ნაწილებად დაჭრილი ტექსტის ძირითადი ნაწილი. მათ უნდა გაემთლიანებინათ ის, სწორი თანმიმდევრობით და მიეღოთ ზღაპრის მთავარი აზრი. ამის შემდგომ, საბოლოოდ მოვისმინეთ ტექსტი და შევამოწმეთ რამდენად სწორად შეძლეს მოსწავლეებმა მოსმენილი მასალის თანმიმდევრული დამახსოვრება.

შედეგი ამ აქტივობებით ნამდვილად განსხვავებული და ნაყოფიერი მივიღეთ. მათ სიამოვნებითა და თავდაჯერებით შეასრულეს ყველა დავალება საყვარელი ზღაპრის თემასთან დაკავშირებით, არც შეცდომების დაშვების შიშით იკავებდნენ თავს პასუხების გაცემისგან და შედეგებიც უკეთესი ჰქონდათ.

ინტერვენცია 3. პროექტგაკვეთილი

ინგლისურენოვანი მასალის მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად, ინტერვენციის მიზნით, მოსწავლეებთან დავგეგმე პროექტგაკვეთილი. გაკვეთლის თემად მოსწავლეებთან ერთად შევარჩიე IV კლასის სახელმძღვანელოში განხილული მასალა-ინგლისურ საუზმეზე (English Breakfast)

პროექტგაკვეთლს ყველა სხვა საგაკვეთილო ფორმაზე მეტად შეუძლია მოსწავლეთა ინტერესების ინტეგრირება და მათი მოტივაციის ამაღლება. პროექტგაკვეთლი ერთგვარად აკმაყოფილებს მოსწავლეთა პრაქტიკული ქმედების სურვილს. აქედან გამომდინარე, უფრო ღრმად ილექება მეხსიერებაში. პროექტგაკვეთილში ყველა მონაწილეს შეუძლია წვლილი შეიტანოს წარმატებაში თავისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით. სწავლების ეს ფორმა

წარმოადგენს არა რაიმე ცალკეულ მეთოდს, არამედ სხვადსხვა მეთოდების ერთობლიობას.

პროექტგაკვეთილის მიზანი იყო სხვადასხვა მრავალფეროვანი მეთოდებით და სამიზნე პრობლემაზე - მოსმენის უნარის გაუმჯობესებაზე ფოკუსირებით, გამეზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და ინტერესი სხადასხვა ტიპის მუშაობის პროცესში.

პირველი რიგში მოსწავლეებს მოვასმენინე აუდიო მასალა, სადაც ბავშვები საუბრობდნენ ინგლისური საუზმის შემადგენლობასა და ტრადიციებზე, თუ რას , როდის და როგორ მიირთმევენ ინგლისელები საუზმეზე.

პირველი მოსმენის შემდეგ მოსწავლეებმა გაარკვიეს თუ რაზე საუბრობდნენ მათი თანატოლები და რა იყო მოსასმენი მასალის მთავარი თემა. ამის შემდგომ, განმეორებით მოსმენამდე, მოსწავლეები დავყავი სამ ჯგუფად. ერთ ჯგუფს მივეცი დავალება რომ მოემზადებინათ პრეზენტაცია თემაზე- საუზმე ინგლისში, მეორე ჯგუფს კი მოსმენილი ინფორმაციის შედარებით უნდა მოემზადებინათ პრეზენტაცია თემაზე- საუზმე საქართველოში. მესამე ჯგუფს კი დაევალა მოსმენილი მასალის ილუსტრირებული გადატანა საპრეზენტაციო ფურცლებზე. შესრულებული სამუშაოს შემდეგ ჯგუფებმა გააკეთეს პრეზენტაციები.

ჩატარებული პროექტგაკვეთილი დამეხმარა სასურველი შედეგი მიმეღო გაკვეთილზე, რადგანაც ძირითადი აქცენტი გაკეთდა მოსმენის მიმართულებით და შემდეგი აქტივობებიც სწორედ მოსმენილი ინფორმაციის გაგებაზე იყო დამოკიდებული. მოსწავლეებმა შეძლეს თავი გაერთვათ არა მხოლოდ დავალებების სწორად შესრულებისთვის, არამედ აქტიურად და ინტერსით ჩაერთვნენ საგაკვთილო პროცესში. ჩემი როლი, კი ფასილიტატორობით შემოიფარგლებოდა, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას ვუწევდი თითოეულ ჯგუფს.

ინტერვენცია 4. როლური თამაში

ინტერვენციას, რომელსაც ინგლისური ენის გაკვეთილზე, მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად მივმართე, ეხებოდა როლური თამაშის მეთოდის გამოყენებას.

როლური თამაში, სწავლების ისეთი ფორმაა, სადაც ურთიერთობის ზუსტი მოდელირებით, ცხოვრებისეული სიტუაციების გათამაშებით მოსწავლეებს უადვილდებათ ნასწავლი სტრუქტურებისა და ლექსიკის დამახსოვრება და შესაბამის საკომუნიკაციო სიტუაციაში გამოყენება. როლური თამაშით მოსწავლეს ეძლევა თავისი აზრისა და შეძენილი ცოდნის გამოყენების საშუალება. მას ემატება საკუთარი ძალების რწმენა და იზრდება მოტივაცია. როლური თამაშის დროს მოსწავლე თავისუფლად გრძნობს თავს, გასაქანს აძლევს ფანტაზიას, ცდილობს მოსმენილი მასალის მაქსიმალურად გაგებას და დამახსოვრებას. მას უვითარდება ყურადღება, მეხსიერება, ერუდიცია. მოსწავლე ხდება უფრო აქტიური, სწავლობს თანატოლებთან ურთიერთობას და თანამშრომლობას, როლური თამაშის უპირატესობა იმაში მდგომარეობს,რომ ყველა მოსწავლე აქტიურად არის ჩართული მუშაობის პროცესში, სხვა პერსონაჟის „ნიღაბს“ ამოფარებულ მორცხვ მოსწავლესაც კი უადვილდება აზრის გამოთქმა. მოტივაციისა და აქტიურობის ზრდასთან ერთად მოსწავლეებს ეს თამაში, საშუალებას აძლევს პრაქტიკაში გამოიყეენონ შეძენილი ცოდნა და გამოცდილება.

როლური თამაშისთვის თემად შევარჩიე IV კლასის სახელმძღვანელოდან დიალოგები ვეტექიმთან (At The Vet’s), ის შედგება სამი ნაწილისგან, სამი ცხოველი თავიანთი ჯანმრთელობის პრობლემებით მიდის ექიმთან. ტექსტი მთლიანად აწყობილია მათ დიალოგებზე.

როლური თამაშის გამოყენების მიზანი იყო სიტუაციური გათამაშებით, მომეხდინა მოსწავლეთა ინტერესების პროვოცირება და გამეზარდა მათი მოტივაცია, რომ მაქსიმალურად ჩართულიყვნენ დიალოგების მოსმენის, გაგებისა და

დამახსოვრების პროცესში, შესაბამისად კარგად მოერგოთ და შეესრულებინათ მიცემული როლები.

სამიზნე ტექსტი მოსწავლეებს შევთავაზე მოსმენის ფორმით. მოსმენამდე მოსწავლეებს ვაჩვენე ფოტოსურათები, რომ გამოეთქვათ ვარაუდები თუ რა სიტუაცია იყო იქ აღწერილი და რაზე იქნებოდა საუბარი მოსასმენ ტექსტში. შემდეგ, მოსწავლეებს მოვასმენინე დიალოგის აუდიოჩანაწერი და ვთხოვე რომ დაეზუსტებინათ, თუ სად ხდებოდა მოქმედება, ვინ იყვნენ მონაწილე პერსონაჟები, რა იყო მთავარი პრობლემა დიალოგში და ა.შ. განმეორებითი მოსმენის დროს მოსწავლეებს ვთხოვე გაეგოთ, შედარებით დეტალური ინფორმაცია და ფრაზების შინაარსი. ამისათვის მათ შეასრულეს გამოტოვებული ინფორმაციის შევსების დავალება, რომელიც გათვილილი იყო სამიზნე სიტყვებისა და ფრაზების შესწავლაზე. ამის შემდგომ მოვუსმინეთ ჩანაწერს, რომელსაც ვაჩერებდით საჭირო ადგილას და მოსწავლეების საშუალება ეძლეოდათ შეემოწმებინათ თავიანთი პასუხების სისწორე.

შემდეგი აქტივობისთვის კლასი დავყავი წყვილებად, მოსწავლეებს დავურიგე მოსმენილი მასალის შესაბამისი ტექსტი და ვთხოვე რომ ხაზი გაესვათ საკვანძო სიტყვებისა და ფრაზებისათვის, რომელიც დაჭირდებოდათ მათ როლური სიტუაციის გასათამაშებლად. მოსწავლეები შეუდგნენ მუშაობას, გადაინაწილეს როლები, გაიარეს რეპეტიცია მოსმენილი ფრაზების სწორ გამოყენებაზე და ბოლოს კლასის წინაშე გაითამაშეს თავიანთი როლები.

შედეგი, რომელიც როლურ თამაშს მოჰყვა გაკვეთილზე, სრულიად უკავშირდებოდა დასახულ მიზანს. მოსწავლეები ხალისითა და ინტერესით მოეკიდნენ მოსასმენ დავალებებს, მონდომებით ცდილობდნენ ფრაზების გაგებას და დამახსოვრებას, რაც საბოლოოდ ნათლად ჩანდა მათ მიერ შესრულებულ როლებში.

ინტერვენცია 5 . დისკუსია

ინგლისური ენის გაკვეთილზე მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად შევარჩიე მინი დისკუსიის მეთოდი, მოსმენილი ვიდეო მასალის თემატიკიდან გამომდინარე. საუბრის უნარ-ჩვევებთან ერთად ხომ მოსმენა წარმოადგენს ზეპირმეტყველების ერთ დიდ მიმართულებას. თემა ეხებოდა ჩვენს გარემოს-დედამიწას და მისი დაცვის საკითხებს.

დისკუსია ეს ისეთი მეთოდია, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს როგორც მოსმენის უნარ-ჩვევების,ასევე საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და დასაბუთების უნარ-ჩვევების განვითარებაში, დასკვნების გამოტანაში და გადაწყვეტილებების მიღებაში.

მინი დისკუსიის ინტერვენციად გამოყენების მიზანი იყო გარემოს თემატიკაზე მოსმენილი ვიდეოს საფუძველზე მოსწავლეებს გაეგოთ პრობლემის მთავარი და დეტალური ინფორმაცია, ემსჯელათ მის გამომწვევ მიზეზებსა და მოგვარების გზებზე.

დისკუსიის დაწყებამდე მინდოდა გამეაქტიურებინა მოსწავლეების წინარე ცოდნა თემასთან დაკავშირებით. ამისათვის გამოვიყენე გონებრივი იერიშის მეთოდი და გავიხსენეთ ყველა ის ნასწავლი ლექსიკური ერთეული, რაც დედამიწის თემასთან დაკავშირებით IV კლასის სახელმძღვანელოში საკმაოდ კარგად არის განხილული.

ამის შემდგომ მოსწავლეებს ვაყურებინე ვიდეო მასალა
GOING GREEN! (**Earth Day song** for kids about the 3 R's- Reduce .. .

ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს უნდა ემსჯელათ და ჩამოეყალიბებინათ მოსაზრებები თუ რა რეკომენდაციები იყო დასახელებული ვიდეოში ჩვენი პლანეტის-დედამიწის გადასარჩენად. ჯგუფებმა ისაუბრეს თავთავიანთ ვერსიებზე.

შემდეგ დავალებაში ჯგუფებს უნდა ემსჯელათ თუ რა შეიძლება ყოფილიყო დედამიწის პრობლემების გამომწვევი მიზეზები, მაგ: ტყეების ჭრა, ჰაერისა და წყლის

დაბინძურება და ა.შ. მოსწავლეებმა შეძლეს მათი ლექსიკური მარაგით, მარტივად ფორმირებული არგუმენტების გამოთქმა.

ფინალურ ნაწილში კი ჯგუფების სხვადასხვა წევრებს უნდა დაესახელებინათ, მათი აზრით ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა და პრობლემასთან დაკავშირებული რეკომენდაცია.

გაკვეთილის ბოლოს მიღებული შედეგი პირდაპირ უკავშირდებოდა გაკვეთლის დასაწყისში დასახულ მიზანს. მოსწავლეებმა საკმაოდ კარგად გაიგეს ვიდეო მასალაში წარმოდგენილი გარემოს პრობლემები,იმსჯელეს მათი გადაჭრის გზებზე, აუმაღლდათ მოტივაცია და ხალისით მოეკიდენ საგაკვეთილო პროცესს.

5. 2. ინტერვენციების შეფასება და შედეგები

ინტერვენციების შემდგომ ჩავატარე ინტერვიუ მოსწავლეებთან. ინტერვიუ გაიმართა საქმიან და მეგობრულ გარემოში. მოსწავლეებმა თავისუფლად დააფიქსირეს საკუთარი აზრი. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო მათი შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გაგება გატარებული ინტერვენციების მიმართ.

მოსწავლეთა უმრავლესობას სახალისოდ მიაჩნდა საგაკვეთილო პროცესში სიმღერებითა და ანიმაციებით სწავლება, თუმცა ისინი აგრეთვე ფიქრობდნენ, რომ ამ მეთოდებით ჩატარებული გაკვეთლები საგანმანათლებლოც იყო და მათ ძალიან ბევრი ლექსიკური თუ გრამატიკული ერთეული შეისწავლეს მისამღერებისა და გამეორების საშუალებით. აქტივობები, რომლებიც მოსმენამდე, მოსმენის ეტაპზე და მოსმენის შემდგომ მქონდა დაგეგმილი, მოსწავლეთა აზრით, ძალიან დაეხმარათ მათ მოსასმენი ტექსტის გაგებაში, აქტივობების სხვადასხვა ტიპის შეკითხვები მოსწავლეებს უიოლებდა სწორი პასუხის გაგების პროცესს.

რაც შეეხება პროექტგაკვეთილს, მოსწავლეთა უმრავლესობამ ის დადებითად შეაფასა. მათი აზრით, ამ კონკრეტული გაკვეთილის აქტივობები, პირდაპირ მოსმენის

გაუმჯობესებასთან იყო დაკავშირებული, რადგანაც მართალია სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა ტიპის დავალებას ასრულებდა , მაგრამ თითოეულის მიერ შესრულებული დავალება, მოსმენილი მასალის გაგებას უკავშირდებოდა. გარდა ამისა, ყველა ტიპის მოსწავლე, ხატვის, ილუსტრირების, პრეზენტაციისა წარდგენისა და ა.შ. მოყვარულები, ყველა ერთნაირად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

როლური თამაშის იდეა, მოსწავლეებთან თავდაპირველად მხოლოდ თამაშთან ასოცირდებოდა, თუმცა მათ გაკვეთილის ბოლოს გააცნობიერეს თუ რამდენი ლექსიკური და გრამატიკული კონსტრუქციის ცოდნა გაიმყარეს თავიანთი და სხვისი როლების დასწავლის პროცესში. მათივე თქმით, ისინი არასაგაკვეთილო პროცესშიც აგრძელებდნენ ნასწავლი დიალოგებით საუბარს.

დისკუსიის მეთოდი, მოსწავლეებს შედარებით რთულად მიაჩნდათ, რაგდანაც შეცდომების დაშვების შიში, მათ გარკვეულ ბარიერებს უქმნიდა თავისუფალი საუბრისთვის, მაგრამ გამომდინარე იქიდან რომ დისკუსიის თემა და ლექსიკური ბაზა, სწორედ მოსმენილი მასალიდან და გააქტიურებული ცოდნიდან გამომდინარეობდა, მათ გაუიოლდათ წინადადებების ჩამოყალიბებისა და აზრის ფორმულირების პროცესი.

თავი VI - რეკომენდაციები და კვლევის შედეგები

6.1 - რეკომენდაციები

რეკომენდაციები უცხოური ენების პედაგოგებს:

იმისათვის რომ საგაკვეთლო პროცესი იყოს სახალისო და მოსწავლე აქტიურად ჩაერთოს მოსასმენი დავალებების გაგების პროცესში, გირჩევთ :

- ხშირად გამოიყენეთ სახალისო სიმღერები მოსასმენ მასალად, სწორად დაგეგმილი მოსმენამდე, მოსმენის დროს და მოსმენის შემდგომი აქტივობებით.
- აყურებინეთ მოსწავლეებს საბავშვო ანიმაციები და ზღაპრები. რაც საგრძნობლად ზრდის მოსწავლთა ჩართულობას და ხალისს საგაკვეთილო პროცესში.
- გამოიყენეთ მოსწავლეებთან საგაკვეთილო პროექტები, ამით ისინი აქტიურობას და თავდაჯერებულობას იძენენ.
- გაკვეთილზე გამოიყენეთ მრავალფეროვანი აქტივობები და მეთოდები,როგორიცაა დისკუსიები, როლური თამაშები. ისინი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ როლებს, შესაბამისად მაქსიმალური ყურადღებით უსმენენ და იმეორებენ თავიანთ სათქმელ ნაწილს,
- მიეცით მოსწავლეებს მიმართულება მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადებში, ტურებში,პროექტებში.
- აქტიურად გამოიყენეთ სახელმძღვანელოების თანმხლები მოსასმენი მასალები.

რეკომენდაციები მოსწავლეებს

- იყავით საგაკვეთლო პროცესში მეტად ჩართული.

- არ გქონდეთ შეცდომის დაშვების შიში, გახდით მეტად თავდაჯერებული.
- ხშირად უსმინეთ და უყურეთ ინგლისურენოვან სიმღერებს, ანიმაციებს, ვიდეოებს, ფილმებს.
- მოსმენის პროცესში დაიჭირეთ მთავარი ინფორმაცია, ნუ შეუშინდებით დეტალურ გაუგებრობებს.
- ყურადღებით მოეკიდეთ მოსმენამდე, მოსმენის დროს და მოსმენის შემდგომ დავალებებს, ისინი ძალიან გაგიიოლებთ მოსმენილი ტექსტის გაგების პროცესს.

6.2 - პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები

მოსმენის უნარის გაუმჯობესების მიზნით IV კლასში განვახორციელე რამდენიმე ტიპის ინტერვენცია, სხვადასხავა მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით მოსწავლეებმა მიაღწიეს შემდეგ შედეგებს:

- გაიზარდა მათი მოტივაცია.
- ინტერესითა და ხალისით მოეკიდენ საგაკვეთილო პროცესში.
- გაიუმჯობესეს მოსმენის უნარი.
- შეიძინეს მეტი გამოცდილება.
- მოიმატა მოსმენის დავალებებში მიღებული შედეგების მაჩვენებელმა.


დაბალი მოტივაცია
ნაკლები ჩართულობა
დაბალი შედეგები
შიშის გამო თავშეკავება
მოსწავლე კვლევის დაწყებამდე


გაზრდილი მოტივაცია
აქტიური ჩართულობა
მაღალი შედეგები
თავდაჯერებულობა
მოსწავლე კვლევის შემდეგ

თავი - VII - დასკვნა

7.1 - დასკვნა

ქვიტირის საჯარო სკოლის, IV კლასში ჩატარებული კვლევის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა თემას - მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში, შემიძლია დავასკვნა რომ, სწორად დაგეგმილი და შესაბამისად განხორციელებული ინტერვენციების საფუძველზე გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა. ისინი ინტერესითა და ხალისით მოეკიდნენ საგაკვეთილო პროცესს. შესაბამისად მათ მოსმენის გამოცდილებაც აიმაღლეს, გაიუმჯობესეს მოსმენის უნარი და რაც მთავარია, მათ მიერ მიღებული შედეგების მაჩვენებელმაც გაცილებით მოიმატა.

მე მჯერა, რომ 21-ე საუკუნის ახალგაზრდობა ეს ის თაობაა, რომელსაც ცოდნასთან ერთად უამრავი საჭირო უნარ-ჩვევა აქვს განვითარებული, რომ თავისუფლად აუწყოს ფეხი თანამედროვე განათლების გამოწვევებს. ჩვენ კი, როგორც თანამედროვე მასწავლებელმა უნდა გავითვალისწინოთ სწავლა-სწავლების პროცესში მთავარი ადგილი უჭირავს მოსწავლეს და მის საჭიროებებს, ვიზრუნოთ იმაზე თუ რომელი და როგორი მეთოდები უნდა გამოვიყენოთ იმისათის რომ მოსწავლეები დავაინტერსოთ და ხალისით ჩავრთოთ სასწავლო პროცესში. შესაბამისად თანამედროვე მასწავლებებლი მუდმივ ძიებაში უნდა იყოს თუ როგორ დაეხმაროს მოსწავლეს, არა მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესწავლაში, არამედ გამოუმუშაოს მას ზოგადი ტრანსფერის უნარებიც.

7.2 - კოლეგებისთვის გაზიარება

მიმდინარე წლის 12 ივნისს ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში წარვუდგინე ქვიტირის საჯარო სკოლის პედაგოგებს. საპრეზენტაციოდ გამოვიყენე კომპიუტერი, პროექტორი და power point- ში აწყობილი სლაიდები,

პედაგოგები ყურადღებით უსმენდნენ ჩემს მიერ წარდგენილ მასალას. შეხვედრა ჩატარდა საქმიან გარემოში.მივიღე პოზიტიური უკუკავშირი.

ბიბლიოგრაფია

1. ეროვნული სასწავლო გეგმა http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-
2. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, ნაწილი II. http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/gzamkvlevi%20meore%20nawili.pdf
3. დევიდ პერკინსის სწავლების თეორია http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16749
4. ბენჯამინ ბლუმის ტაქსონომია http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=5043
5. http://mastsavlebeli.ge/.
6. ელენე ძამიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი - მოსასმენი მასალის მიწოდებისა და განმტკიცების გზები და ხერხები ინგლისური ენის სწავლებისას I-IV კლასებში(2014 წ)
7. http://ncp.ge/ge/home
8. მასწავლებლის სახლის მიერ გამოცემული სატრენინგო მასალა.
9. http://ncp.ge/ge/activities/aqtivoba-1-diskusia?resid=166
10. ნინო ფეტვიაშვილის (2015)სტატია - ,,სიმღერა, როგორც სასწავლო რესურსი რუსული ენის გაკვეთილზე“

დანართები

დანართი 1

კითხვარი მოსწავლეთათვის

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე - მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

თქვენი, როგორც მოსწავლის აზრი, ჩემთვის საინტერესოა.

კითხვარი ანონიმურია, არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას.

პატივისცემით

ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი - ნინო დოღონაძე

1. **ინგლისური ენის გაკვეთილზე როგორი ტიპის აქტივობების კეთება უფრო გიყვართ?**
   ა) წერა-კითხვასთან დაკავშირებული
   ბ) აუდიო-ვიდეო მასალის მოსმენა - ყურება
   გ) ლაპარაკი, დისკუსია

2. **გებულობთ თუ არა ინგლისურ ენაზე მოსმენილ მასალას?**
   ა) მთლიანად
   ბ) ნაწილობრივ
   გ) ვერ ვგებულობ

3. **რა გიშლით ხელს მოსმენილი მასალის გაგებაში?**
   ა) საუბრის ჩქარი ტემპი
   ბ) მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა აქცენტი
   გ) მოსმენის ნაკლები გამოცდილება

4. **რა გეხმარებათ მოსმენილი მასალის გაგებაში?**

ა) შინაარსი (კონტექსტი)

ბ) ილუსტრაცია

გ) ნაცნობ თემასთან კავშირი

5. **რამდენი მოსმენაა საჭირო ერთი აქტივობის კარგად შესასრულებლად?**

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

6. **როგორია თქვენი განწყობა მოსასმენი დავალებების წინ?**

ა) დადებითი

ბ) უარყოფითი

გ) გულგრილი

7. **უყურებთ თუ არა ინგლისურ ანიმაციებს არასაკლასო დროს (მაგ სახლში)?**

ა) დიახ

ბ) არა

გ) ზოგჯერ

8. **სასურველია თუ არა საგაკვეთილო პროცესში მოსასმენი დავალებების რაოდენობის ზრდა?**

ა) სასურველია ზრდა

ბ) საკმარისია

გ) საჭიროებს შემცირებას

9. **როგორ ფიქრობთ, რაში დაგეხმარებათ მოსასმენი დავალებების კარგად გაგება?**

_____

_____

10. **თქვენი აზრით, რა განაპირობებს პირადად თქვენთვის უკეთესი შედეგის მიღებას მოსმენის მიმართულებაში?**

_____

_____

დანართი 2

კითხვარი მშობელთათვის

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე - მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

თქვენი, როგორც მშობლის აზრი, ჩემთვის საინტერესოა.

კითხვარი ანონიმურია, არ საჭიროებს სახელისა და გვარის მითითებას.

პატივისცემით

ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი - ნინო დოღონაძე

1. **რომელია თქვენი შვილის საყვარელი საგანი?**

   ა) მათემატიკა

   ბ) ქართული

   გ) ინგლისური

2. **როგორ მეცადინეობს თქვენი შვილი ინგლისურ ენას?**

   ა) დამოუკიდებლად

   ბ) ნაწილობრივ დამოუკიდებლად

   გ) თქვენი ან სხვა პიროვნების დახმარებით

3. **რა დროს უთმობს თქვენი შვილი ინგლისურის მეცადინეობას?**

   ა) ერთ საათს

   ბ) ერთ საათზე მეტს

   გ) ერთ საათზე ნაკლებს

4. **გაქვთ თუ არა ინფორმაცია როგორი ტიპის აქტივობების კეთება უყვართ თქვენს შვილს უფრო მეტად ინგლისურიე გაკვეთილზე?**

   ა) წერა-კითხვასთან დაკავშირებული

   ბ) აუდიო - ვიდეო მასალის მოსმენა - ყურება

   გ) ლაპარაკი, დისკუსია

5. **გაქვთ თუ არა ინფორმაცია რომელ კომპეტენციაში აქვთ სირთულე თქვენს შვილს?**

   ა) წერა-კითხვა

   ბ) მოსმენა - ყურება

   გ) ლაპარაკი

6. **უყურებს თუ არა თქვენი შვილი ინგლისურენოვან ანიმაციურ ფილმებს სახლში?**

   ა) ხშირად

   ბ) იშვიათად

   გ) არასოდეს

7. **ცდილობს თუ არა თქვენი შვილი ინგლისურენოვანი სიმღერების ტექსტის გამეორებას?**

ა) ხშირად

ბ) იშვიათად

გ) არასოდეს

8. **თქვენი აზრით რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი შვილისთვის მოსასმენი მასალის გაგება?**

ა) ძალიან მნიშვნელოვანია

ბ) ნაკლებად მნიშვნელოვანია

გ) სასურველია გებულობდეს

9. **თქვენი აზრით, როგორ გამოიყენებს თქვენი შვილი მოსმენის მიმართულების კარგ ფლობას რეალურ ცხოვრებაში?**

_____

_____

10. **როგორია თქვენი რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თქვენმა შვილმა მოსმენილი მასალა უკეთ გაიგოს?**

_____

_____

დანართი 3

კითხვარი პედაგოგთათვის

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე - მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

თქვენი, როგორც უცხო ენის პედაგოგის აზრი, ჩემთვის საინტერესოა.

კითხვარი ანონიმურია.

პატივისცემით

ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი - ნინო დოღონაძე

1. **რომელია თქვენი მოსწავლეების საყვარელი აქტივობები ინგლისური ენის გაკვეთილზე?**
   ა) წერა-კითხვასთან დაკავშირებული
   ბ) აუდიო - ვიდეო მასალის მოსმენა - ყურება
   გ) ლაპარაკი, დისკუსია

2. **რომელ მიმართულებაში აქვთ თქვენს მოსწავლეებს შედარებით დაბალი შედეგები?**
   ა) წერა-კითხვა
   ბ) მოსმენა - ყურება
   გ) ლაპარაკი

3. **თქვენი აზრით, რატომ უჭირთ ზოგადად მოსწავლეებს მოსმენილი მასალის გაგება?**
   ა) საუბრის ჩქარი ტემპის გამო
   ბ) მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა აქცენტის გამო
   გ) მოსმენის ნაკლები გამოცდილებიდან გამომდინარე

4. **რამდენად გეხმარებათ სახელმძღვანელოში არსებული მოსასმენი დავალებები ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევაში?**

   ა) ძალიან მეხმარება

   ბ) ნაწილობრივ მეხმარება

   გ) საჭიროებს დამატებით მოსასმენ დავალებებს

5. **რომელ აქტივობებს მირჩევდით მოსწავლეთათვის მოსმენის მიმართულების გასაუმჯობესებლად?**

   _____

   _____

   _____

6. **რა მეთოდით სწავლება მიგაჩნიათ ყველაზე ეფექტურად მოსმენის მიმართულებაში?**

   _____

   _____

   _____

7. **საჭიროა თუ არა მოსმენის დავალებისთვის განკუთვნილი დროის და მოსმენის რაოდენობის ზრდა?**

   _____

   _____

   _____

8. **საგაკვეთილო აქტივობების გარდა, კიდევ როგორ შეგვიძლია დავეხმაროთ მოსწავლეებს მოსმენის უნარის გასაუმჯობესებლად?**

   _____

   _____

   _____

დანართი 4

ინტერვიუ დირექტორთან

მოგესალმებით!

ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე - მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში.

თქვენი, როგორც სკოლის ხელმძღვანელის აზრი, ჩემთვის საინტერესოა.

პატივისცემით

ინგლისური ენის უფროსი მასწავლებელი - ნინო დოღონაძე

1. ესწრებით თუ არა სკოლაში ჩატარებულ საგაკვეთილო პროცესებს და აძლევთ თუ არა მასწავლებლებს განმავითარებელ შეფასებას?
2. ხართ თუ არა კრიტიკული მეგობარი თქვენი პედაგოგებისთვის?
3. თქვენი აზრით თანამშრომლობენ თუ არა თქვენი პედაგოგები ერთმანეთთან?
4. თქვენი აზრით რა არის ჩემი საკვლევი თემის პრობლემის გამომწვევი მიზეზები?
5. ჩემი საკვლევი თემიდან გამომდინარე ხომ ვერ მირჩევდით აქცენტირებას რაიმე საკითხზე?

დანართი 5

ინტერევნციების შემდგომი კითხვარი მოსწავლეებთან ინტერვიუსთვის

1. ბუნებრივია რომ სიმღერით სწავლება სახალისო პროცესია, როგორ გგონიათ, რამდენად იყო ის საგანმანათლებლო ხასიათის?
2. თქვენი აზრით, სწორად იყო თუ არა აქტივობები დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესში სიმღერის გამოყენებისთვის?
3. როგორ დაგეხმარათ ანიმაციით სწავლება მოსმენის უნარის განვითარებაში?
4. როგორ შეაფასებდით თქვენს ჩართულობას ანიმაციის ირგვლივ შერჩეულ აქტივობებში?

5. რა განსხვავება დაინახეთ პროექტგაკვეთილსა და სტანდარტულ გაკვეთილს შორის?
6. რა კავშირში იყო პროექტგაკვეთლი და მოსმენის მიმართულებით განხორცილებული ინტერვენცია ერთმანეთთან?
7. როგორია თქვენი დამოკიდებულება როლური თამაშის მიმართ?
8. რა შედეგი მიიღეთ როლური თამაშით გაკვეთილის ბოლოს?
9. თქვენი აზრით, რა არის დისკუსიის დადებითი მხარე?
10. რას დაასახელებდით დისკუსიის სირთულედ?

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის

რეფლექსია

2018-2019 სასწავლო წლის დეკემბრიდან ქვიტირის საჯარო სკოლის IV კლასში, გადავწყვიტე ჩამეტარებინა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა - თემაზე მოსმენის მიმართულების სირთულე ინგლისური ენის სწავლების პროცესში. კვლევის საფუძველს წარმოადგენდა ფოკუსირებული დაკვირვება მოსწავლეებზე. მიუხედავად იმისა რომ ისინი საკმაო გონიერებითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან და ხალისით სწავლობენ ინგლისურ ენას, მათ შედარებით დაბალი შედეგები ჰქონდათ მოსასმენი მასალის ირგვლივ შესრულებულ დავალებებში, ნაკლებად იყვნენ მოტივირებული და შეცდომების დაშვების შიშით თავს იკავებდნენ მოსმენის მიმართულებით აქტიური ჩართულობისგან.

ჩემი კვლევის მიზნად დავისახე შემდეგი:

- პირველ რიგში, დამედგინა მოსმენის მიმართულებაში არსებული ხელისშემშლელი ფაქტორების გამომწვევი მიზეზები.
- შემესწავლა მოსწავლეთა პასიურობასთან და შედარებით დაბალ შედეგებთან დაკავშირებული პრობლემები.
- შემემუშავებინა და პრაქტიკულად განმეხორციელებინა ეფექტური ინტერვენციები.
- გამეზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და გამოცდილება მოსმენის მიმართულებით.

ამისათვის შევადგინე კითხვარები მოსწავლეებთან, მშობლებთან, უცხო ენის პედაგოგებთან და დირექტორთან სასაუბროდ. კითხვარის მიზანი იყო მათი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების გაცნობა არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, გავითვალისწინე რა მათი გულწრფელი რეკომენდაციბი, დავგეგმე სხვადახსვა ტიპის ინტერვენცია ზემოთხსენებული პრობლემის შემცირებასთან დაკავშირებით.

ინტერვენციების განხორციელების შემდგომ ჩავატარე ინტერვიუ ჩემს სამიზნე ჯგუფთან. როგორც აღმოჩნდა ინტერვენციებმა საკმაოდ მოახდინეს მათზე გავლენა, რომ მოსმენის მიმართულებისადმი დამოკიდებულებები შეეცვალათ. პირველ რიგში, მოსწავლეებს გაუქრათ შიში, მოემატათ თავდაჯერებულობა, ისწავლეს მთავარ ინფორმაციაზე ყურადღების გამახვილება. კარგად დაგეგმილი მოსმენამდე, მოსმენის ეტაპზე და მოსმენის შემდგომი აქტივობები მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში ერთი-ორად ზრდიდა. შესაბამისად მოსწავლეებმა უკეთესი შედეგების მიღებაც დაიწყეს და დადებითად ხვდებოდნენ ყველა ახალ მოსასმენ აქტივობას.

კვლევის დასრულების შემდგომ, ჩემი პრაქტიკული გამოცდილება გავაცანი ჩემს კოლეგებს. მოვამზადე პრეზენტაცია power point-ის სლაიდების საშუალებით. ის მოიცავდა აქცენტირებას ყველა მთავარ საკითხზე: საკვლევი საკითხი და კვლევის მიზანი, გამოყენებული ლიტერატურა, სამიზნე ჯგუფებთან კითხვარები, მონაცემთა ანალიზი და მთავარი მიგნებები, განხორციელებული ინტერვენციები და კვლევის შედეგები და დასკვნები.

შეხვედრა გაიმართა საქმიან გარემოში. კოლეგები გულისყურით ადევნებდნენ თვალს პრეზენტაციას და თავიანთ ინტერესს ავლენდნენ შეკითხვების სახით. კერძოდ მათ სურდათ გამეზიარებინა ის სირთულეები რასაც პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის პროცესში წავაწყდი, ამასთანავე მათ აინტერესებდათ ამ საკითხისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულება როგორც კვლევის დასაწყისში, ასევე კვლევის დასრულებისას, ინტერვენციების განხორციელების შემდეგ, აგრეთვე ის თუ რამდენად სწორად შერჩეული აღმოჩნდა ჩემს მიერ დაგეგმილი ინტერვენციები, და ხომ არ შევცვლიდი მათ ამ გამოცდილების შემდგომი შეხედულებიდან გამომდინარე. ვეცადე კოლეგების ყველა შეკითხვაზე ამომწურავი და გულწრფელი პასუხი გამეცა. ინგლისური ენის მასწავლებელმა გამოთქვა აზრი, რომ საკვლევი საკითხის პრობლემა ზოგადად სირთულით გამოირჩევა ინგლისური ენის სწავლების პროცესში, თითქმის ყველა საფეხურზე და აღნიშნული კვლევასა და ინტერვენციებზე დაკვირვება მნიშვნელოვანი რეკომენდაცია იყო მისი პრაქტიკისთვისაც.

მთლიანობაში, შეხვედრა ნაყოფიერი აღმოჩნდა. ვფიქრობს ჩემს მიერ მიღებული გამოცდილება გარკვეულწილად ჩემი კოლეგებისთვისაც მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი იქნებოდა მათი პედაგოგიური მუშაობის პროცესში.